მწვანე ალტერნატივა
0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

17 ოქტომბერი, 2020
#04/02-273

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

2020 წლის 6 ოქტომბერს, თბილისის მერმა საზოგადოებას აცნობა, რომ ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე, 36 ჰექტარის ფართობზე, ცენტრალური პარკი მოეწყობა. მერიის მიერ გავრცელებული ინფორმაციიდან ნათელია, რომ მნიშვნელოვნად შეიცვლება არსებული ტერიტორიის ფუნქციური დანიშნულება და ლანდშაფტი, რაც ბუნებრივი მწვანე საფარის მნიშვნელოვანი ნაწილის შენობებით, ასფალტითა და ბეტონით, ავტოსადგომებით ჩანაცვლების ხარჯზე მოხდება. 2020 წლის 7 ოქტომბერს, მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ განაცხადა, რომ "თბილისის ცენტრალური პარკის მოწყობის სამუშაოები 19 ოქტომბრიდან დაიწყება, რაც, დაახლოებით, ორ წელს გაგრძელდება".

როგორც მოგეხსენებათ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობები ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, მათ შორის:

- დანართის #9.2. საქმიანობა - 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (**მათ შორის და არა მხოლოდ**, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა);
- დანართის #11.4. საქმიანობა - 10 ჰექტარზე ან მეტ ფართობზე გასართობი პარკის (**მათ შორის და არა მხოლოდ**, ატრაქციონების პარკის) გაშენება.

აღსანიშნავია, რომ მედიით გავრცელდა თბილისის ვიცე მერის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე ლანდშაფტის მშენებლობა, რომლიც არ შეიცავს ატრაქციონებს და არ გულისხმობს რკინა-ბეტონის კონსტრუქციების განთავსებას არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

გარდა იმისა, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ მოიცავს მსგავს დებულებას, დაგვეთანხმებით, რომ სწორედ სკრინინგის პროცედურამ უნდა განსაზღვროს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჭიროება. თბილისის მერია ვალდებული იყო საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის წარედგინა დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება და

სამინისტროსგან მიეღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასებას.

აქვე მოგახსენებთ, რომ ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე უკვე მიმდინარეობს საქმიანობის დაწყებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, რაც უხეშად არღვევს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილ წესებს.

გთხოვთ, დაუყოვნებლივ გამოიკვლიოთ კანონდარღვევის ფაქტი და მიიღოთ შესაბამისი ზომები კანონის მოთხოვნების შემდგომი უგულებელყოფის აღსაკვეთად.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი